



ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 19 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 19.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



ლოგიკური მსჯელობა

I ვარიანტი

17 დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

1. ცნობილია, რომ ტყუილია წინადადება:

„რედაქტორმა ვერ იპოვა შეცდომა, ან იპოვა და არ გაასწორა.“

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა სწორი?

- (ა) რედაქტორმა იპოვა შეცდომა და გაასწორა.
- (ბ) რედაქტორმა იპოვა შეცდომა და არ გაასწორა.
- (გ) რედაქტორმა ვერ იპოვა შეცდომა.
- (დ) რედაქტორმა იპოვა შეცდომა, თუმცა დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, გაასწორა თუ არა.
- (ე) შეუძლებელია დადგენა, იპოვა თუ არა რედაქტორმა შეცდომა, თუმცა, თუ იპოვა, მაშინ აუცილებლად გაასწორა.

2. ხუთი ჯარისკაცი – B, G, P, R და Y – დგას ერთ მწკრივად, თითო მეტრის დაშორებით. მათგან მხოლოდ ერთია ოფიცერი.

ცნობილია, რომ:

- R ერთადერთია, რომელიც არ დგას არცერთი სხვა ჯარისკაცისგან სამი მეტრის დაშორებით.
- Y დგას B-სგან ერთ მეტრში, ხოლო R-ისგან – უფრო შორს.
- P უფრო შორს დგას Y-ისგან, ვიდრე – G.
- G დგას ოფიცრისგან ორი მეტრის დაშორებით.

რომელია მათ შორის ოფიცერი?

- (ა) Y
- (ბ) R
- (გ) P
- (დ) G
- (ე) B

3. აგრონომი:

ჩვენი რეგიონი არ არის ხელსაყრელი ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად. მაგალითად, მე ჩემს ნაკვეთზე იმაზე ორჯერ ნაკლები მოსავალი მივიღე, რასაც ამავე ფართობზე საშუალოდ იღებენ მეზობელ რეგიონში.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დააყენებს ეჭვქვეშ აგრონომის დასკვნის მართებულობას?

- (ა) წელს ახლომახლო რეგიონებში ძლიერი გვალვა და მოსავლისათვის არახელსაყრელი ამინდი იყო.
- (ბ) აგრონომმა ისეთი სასუქი გამოიყენა, რომელიც ორჯერ ზრდის ფართობის ერთეულზე მოსავლის რაოდენობას.
- (გ) მეზობელი რეგიონის სავარგულები დღის განმავლობაში უფრო მეტ ხანს იღებს მზის სხივებს, რაც ხელსაყრელია ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის.
- (დ) აგრონომის კუთვნილი ნაკვეთი იმავე რეგიონის სხვა სავარგულებთან შედარებით მეტადაა გამოფიტული.
- (ე) აგრონომის რეგიონში ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურა მოდის, რომელიც მეზობელ რეგიონში ნაკლებად მოსავლიანია.

4. მოცემულია:

- ზოგიერთი ფავნი არის ქიმერა.
- ყოველი ფავნი არის პეგასი.
- თითოეული პეგასი არის ციკლოპი.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- I. ზოგიერთი ციკლოპი არის ქიმერა.
- II. ყოველი ციკლოპი არის ფავნი.
- III. ერთი ქიმერა მაინც არის პეგასი.

- (ა) მხოლოდ II.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ I და III.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) თითოეული.

5. რიგში ხუთი ჰუმანოიდი დგას: არდა, ერდე, ირდი, ორდო, ურდუ.

ერდე ყოველთვის სიმართლეს ამბობს, არდა და ირდი ყოველთვის ტყუილს ამბობენ. ორდო და ურდუდან რომელიმე თუ ჭეშმარიტ წინადადებას იტყვის, მაშინ მის მიერ ნათქვამი შემდეგი წინადადება აუცილებლად ტყუილი იქნება და პირიქით. რიგში I-მა თქვა შემდეგი ხუთი წინადადება:

- მე არ ვარ ერდე.
- რიგში II არ არის ირდი.
- რიგში III არ არის ორდო.
- რიგში IV არ არის ურდუ.
- რიგში V არ არის არდა.

რომელი ჰუმანოიდია რიგში III?

- (ა) არდა
- (ბ) ერდე
- (გ) ირდი
- (დ) ორდო
- (ე) ურდუ

6. მოცემულია მსჯელობა:

პროექტის საგრანტო დაფინანსების მისაღებად საკმარისია, რომ მან კომისიისგან მიიღოს რეკომენდაცია, ჰქონდეს საბაზო აღჭურვილობა და დროულად გაფორმებული ხელშეკრულება. ზაზამ დროულად გააფორმა პროექტის ხელშეკრულება. შესაბამისად, მისი პროექტი მიიღებს საგრანტო დაფინანსებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა დაემატოს მსჯელობაში წინამძღვრად, რომ მსჯელობა გახდეს მართებული?

- (ა) თუ პროექტს აქვს საბაზო აღჭურვილობა და ხელშეკრულება დროულადაა გაფორმებული, კომისია რეკომენდაციას აუცილებლად გასცემს.
- (ბ) კომისიისგან რეკომენდაციას მხოლოდ ის პროექტები იღებენ, რომლებსაც გააჩნიათ საბაზო აღჭურვილობა.
- (გ) თუ ზაზა ხელშეკრულებას გააფორმებდა, იგი მიიღებდა საბაზო აღჭურვილობას.
- (დ) კომისიისგან რეკომენდაციის მისაღებად საკმარისია, რომ პროექტს გააჩნდეს საბაზო აღჭურვილობა და დროულად გაფორმებული ხელშეკრულება.
- (ე) კომისიისგან რეკომენდაციისა და საბაზო აღჭურვილობის გარეშე ზაზა ხელშეკრულებას დროულად ვერ გააფორმებდა.

7. მოცემული მსჯელობებიდან რომელია მართებული?

- I. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია მხოლოდ ზოგიერთი ჟანრის წიგნი. თენგიზს მხოლოდ ზოგიერთი ჟანრის წიგნის კითხვა უყვარს. ამის საფუძველზე ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი იყოს იმ ჟანრის წიგნი, რომლის კითხვაც უყვარს თენგიზს.
- II. მთის ზოგიერთ ბილიკს მწვერვალზე მივყავართ. მთის ზოგიერთი ბილიკი მდინარეს კვეთს. შესაბამისად, არ არსებობს ბილიკი, რომელსაც მწვერვალზე მივყავართ, მაგრამ მდინარეს არ კვეთს.
- III. ზოგიერთი კერამიკული ნაწარმი ხელოვნების ნიმუშია. ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშს მხოლოდ მხატვრული ღირებულება აქვს. შესაბამისად, ზოგიერთ კერამიკულ ნაწარმს მხოლოდ მხატვრული ღირებულება აქვს.

(ა) არცერთი.

(ბ) მხოლოდ I.

(გ) მხოლოდ II.

(დ) მხოლოდ III.

(ე) მხოლოდ I და III.

8. ცნობილია, რომ:

- თითოეულ ობიექტს ერთი ელემენტი მაინც აქვს.
- თუ ობიექტი მემკვიდრეობითაა მიღებული მეორე ობიექტისგან, მაშინ ყველა ელემენტი, რომელიც აქვს მეორეს, აქვს პირველსაც.
- K და L ობიექტებს აქვს საერთო ელემენტები.
- K და M ობიექტებს საერთო ელემენტი არ აქვს.
- L ობიექტი M ობიექტისგან მემკვიდრეობითაა მიღებული.
- N ობიექტს აქვს K-ს ყველა ელემენტიც და M-ის ყველა ელემენტიც.

ჩამოთვლილთაგან რომელი ვერ იქნება ჭეშმარიტი მოცემულ პირობებში?

- (ა) N მემკვიდრეობითაა მიღებული K-სგან.
- (ბ) L მემკვიდრეობითაა მიღებული K-სგან.
- (გ) K მემკვიდრეობითაა მიღებული L-ისგან.
- (დ) N მემკვიდრეობითაა მიღებული L-ისგან.
- (ე) N მემკვიდრეობითაა მიღებული M-ისგან.

9. მუნიციპალურმა სამსახურმა არ გასცა დასტური საინიციატივო ჯგუფის ოფიციალურ თხოვნაზე, რომ ერთ-ერთი მდინარისათვის საცურაო სტატუსი (ანუ სტატუსი, რომლის მიხედვითაც ამ მდინარეში ცურვა დასაშვებია) მიენიჭებინათ. ოფიციალური პირების განცხადებით, ნებართვის გაცემის შემთხვევაში ამ მდინარეში ცურვის მსურველთა დიდი რაოდენობა გამოიწვევდა მიმდებარე საავტომობილო გზების გადატვირთვას. თუმცა, საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთა მტკიცებით, სამსახურმა უარი სულ სხვა მიზეზით თქვა: უბრალოდ, არ სურდა დამატებითი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი გაამლიერებს საინიციატივო ჯგუფის მოსაზრების მართებულობას?

- (ა) საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებულ ოფიციალურ თხოვნაში სრულად იყო გაანალიზებული სტატუსის მინიჭების შემთხვევაში მიმდებარე საავტომობილო გზებზე მოსალოდნელი ცვლილებები.
- (ბ) საინიციატივო ჯგუფის მხრიდან ხშირი კრიტიკის გამო მუნიციპალურმა სამსახურმა მათ თითქმის ყველა ოფიციალურ თხოვნას უარით უპასუხა.
- (გ) მიმდებარე საავტომობილო გზა ისედაც ზღვრულადაა დატვირთული და მანქანების რაოდენობის გაზრდა აუცილებლად გამოიწვევდა საცობებს ამ ტერიტორიაზე.
- (დ) მდინარისთვის საცურაო სტატუსის მინიჭების შემთხვევაში სამსახურს მოუწევდა ამ მდინარის წყალში საშიში ბაქტერიების რაოდენობის მუდმივი კონტროლისა და შემცირებისათვის საჭირო პროცედურების შესრულება.
- (ე) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი საცურაო ადგილების არსებობის უზრუნველყოფა მუნიციპალური სამსახურის პასუხისმგებლობაა.

10. პირობაში სხვადასხვა ლათინური ასო აღნიშნავს დიაგრამის სხვადასხვა წერტილს (წერტილები დიაგრამებზე მცირე წრეებითაა მონიშნული), ხოლო \uparrow , \nrightarrow და $|$ შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

$A\uparrow B$: A და B წერტილები შეერთებულია უწყვეტი ისრით, რომლის საწყისია A, ხოლო ბოლოა B.






$A\nrightarrow B$: A და B წერტილები შეერთებულია წყვეტილი ისრით, რომლის საწყისია A, ხოლო ბოლოა B.

$A|B$: A და B წერტილები შეერთებულია წყვეტილი ან უწყვეტი ისრით, რომელიმე მიმართულებით.

მოცემულია წინადადება:


თუ $A|B$ და $B\uparrow C$, მაშინ $A\nrightarrow C$.

რომელ დიაგრამაზე არსებობს წერტილები, რომლებისთვისაც მოცემული წინადადება მცდარია?




11. მოცემულია 5 ცალი 3-რგოლიანი ჯაჭვი (იხ. ნახატი 1). თითო რგოლის გახსნა და შემდეგ შედუღება 4 ლარი ჯდება. მინიმუმ რა თანხა დაჯდება მოცემული ჯაჭვებისგან ერთი შეკრული 15-რგოლიანი ჯაჭვის (იხ. ნახატი 2) დამზადება?

- (ა) 12 ლარი
- (ბ) 16 ლარი
- (გ) 20 ლარი
- (დ) 24 ლარი
- (ე) 28 ლარი



ნახატი 1



ნახატი 2

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ანამარიას სულ ხუთი სახის ყველი – კამემბერი, მოცარელა, რიკოტა, ფეტა და ჩედარი – აქვს, რომელიც შეუძლია სტუმრებს ყველის დაფაზე მიართვას. ყველის დაფას ის შემდეგი წესის დაცვით ამზადებს:

- დაფაზე მოცარელა მხოლოდ იმ შემთხვევაში დევს, თუ დევს რიკოტაც.
- დაფაზე არ უნდა იდოს ერთდროულად ფეტაც და კამემბერიც.
- თუ დაფაზე დევს ჩედარი, მაშინ დაფაზე არ უნდა იდოს რიკოტადან და კამემბერიდან ერთი მაინც.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მზა დაფის **სრული** შემადგენლობა?

- (ა) მოცარელა, ფეტა.
- (ბ) კამემბერი, რიკოტა.
- (გ) კამემბერი, ფეტა, ჩედარი.
- (დ) კამემბერი, რიკოტა, ჩედარი.
- (ე) კამემბერი, მოცარელა, ჩედარი.

13. თუ ანამარია დაფაზე ოთხი სახის ყველს დადებს, მაშინ რომელი ვერ იქნება ამ დაფაზე?

- (ა) კამემბერი
- (ბ) მოცარელა
- (გ) რიკოტა
- (დ) ფეტა
- (ე) ჩედარი

14. ჩამოთვლილთაგან რომელი პირობაა საკმარისი იმის **სრულად** დასადგენად, თუ ზუსტად რომელი სახის ყველი დევს დაფაზე?

- (ა) დაფაზე დევს მოცარელაც და ფეტაც.
- (ბ) დაფაზე დევს კამემბერიც და რიკოტაც.
- (გ) დაფაზე დევს კამემბერიც და ჩედარიც.
- (დ) დაფაზე დევს მოცარელაც და ჩედარიც.
- (ე) დაფაზე დევს რიკოტაც და ფეტაც.


ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

პროექტის შესრულება ორ – M და N – კომპანიას დაევალა. მათგან ერთ-ერთმა სამუშაოს შესრულებისთვის ორი მუშა დაიქირავა, მეორემ კი თავისი სამუშაოს შესრულებისათვის სამი ქვეკონტრაქტორი კომპანია – P, Q და R – დაიქირავა. ამ ქვეკონტრაქტორებიდან ორმა კომპანიამ სამუშაოსათვის ორ-ორი მუშა, ხოლო ერთმა – ერთი მუშა დაიქირავა. შესაბამისად, სამუშაო სულ შვიდმა – a, b, c, d, e, f და g – მუშამ შეასრულა.

ცნობილია, რომ:

- b და d ერთმა და იმავე კომპანიამ დაიქირავა.
- c და e სხვადასხვა ქვეკონტრაქტორებმა დაიქირავეს.
- არც a და არც f არ დაუქირავებია არც M-ს და არც მის რომელიმე ქვეკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- P-მ ორი მუშა დაიქირავა.
- Q-ს g არ დაუქირავებია.

15. მოცემულთაგან რომელ სქემაზე შეიძლება იყოს გამოსახული დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის სწორი მიმართება?



16. თუ R-მა დაიქირავა მხოლოდ a, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

(ა) P-მ დაიქირავა c.

(ბ) P-მ დაიქირავა d.

(გ) P-მ დაიქირავა e.

(დ) Q-მ დაიქირავა c.

(ე) Q-მ დაიქირავა f.

17. თუ ცნობილია, რომ M-მა დაიქირავა ქვეკონტრაქტორი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა შესრულდება აუცილებლად?

(ა) ერთ-ერთმა კომპანიამ მხოლოდ c მუშა დაიქირავა.

(ბ) ერთ-ერთმა კომპანიამ მხოლოდ e მუშა დაიქირავა.

(გ) ერთ-ერთმა კომპანიამ მხოლოდ f მუშა დაიქირავა.

(დ) ერთ-ერთმა კომპანიამ g და კიდევ რომელიღაც სხვა მუშა დაიქირავა.

(ე) ერთ-ერთმა კომპანიამ e და კიდევ რომელიღაც სხვა მუშა დაიქირავა.

ტესტის დასასრული